„დამტკიცებულია“
სს „ნიკორა ტრეიდი“-ს საერთო კრების მიერ
2023 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილებით

სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი“

სამეთვალყურეო საბჭოს

დებულება

ქ.თბილისი
2023 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდი"–ს (შემდგომში – კომპანია) სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის და კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ზოგადი საქმიანობის ზედამხედველობაზე.

1.2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს არჩევისა და მისი მუშაობის წესს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.3. თავის საქმიანობაშისა მეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, სს „ნიკორა ტრეიდი"–ს წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები

საბჭოს ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება:

2.1 აქციონერთა ინტერესების, უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა კომპანიაში. სამეთვალყურეო საბჭომ ასევე უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა

2.2 კომპანიის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა.

2.3 კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება.

2.4 კომპანიის კომიტეტების შიდა დებულებების/ინსტრუქციების დამტკიცება.

2.5 კომპანიის აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობა.

2.6 ეფექტური შიდა კონტროლისა და რისკების განსაზღვრის, მართვის და პრევენციის უზრუნველყოფა. აღნიშნულის ფარგლებში საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს:

2.6.1 რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებულ, ისე ინდივიდუალურ რისკის ჭრილში განხილვა

2.6.2 საწარმოს რისკის პოლიტიკის შეფასება და სულ მცირე, ყოველწლიურად განხილვა.

2.6.3 დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მონიტორინგი

2.6.4 რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილების მექანიზმების განსაზღვრა.

2.6.5 სტურქტურული ერთეულებიდან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმების ანგარიშების მიღება, მათი შეფასება და მონიტორინგი. აღნიშნულ ფარგლებში შესამამის სტრუქტურებთან/ერთეულებრთა კომუნიკაცია.

2.6.6 ყველა სახის რისკის, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკების გათვალიწინება და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.

2.6.7 რისკის იდენტიფიცირების, შემცირებისა და მონიტორინგის სისტემების შემუშავება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ზომით კატეგორიას, კომპლექსურობასა და რისკის პროფილს.

2.6.8 ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან კომუნიკაცია.

2.7 კომპანიის გრძელვადიანი (3–5 წელი) სტრატეგიული გეგმის, ბიუჯეტის დამტკიცება და შესრულების კონტროლი.

2.8 საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნა და ფუნქციონირებაში ხელშეწყობის უზრუნველყოფა იმგვარად, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებს. აღნიშნულის ფარგლებში საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს:

2.8.1 საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის პერიოდული გადახედვის უზრუნველყოფა, მისი ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;

2.8.2 მმართველი ორგანოს ანაზღაურების საკითხების განსაზღვრა ყოველწლიურად.

2.9 საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფა კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;

2.10 ორგანიზაციის შიგნით უზრუნველყოს ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას ორგანიზაციის რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.

2.11 განახორციელოს თვითკონტროლი სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების ეფექტურობასა და ეფექტიანობაზე. გადახედავს რიგ პოზიციაზე დანიშნულ პირთა კანდიდატურებს, როგორებიცაა აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი და სხვა პირთა დანიშვნის საფუძვლებს.

2.12 დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის პროცესში ადეკვატური პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავება.

2.13 განახორციელოს თვითშაფასება, მათ შორის ყოველწლიურად შეაფასოს საბჭოს და მასთნ შექმნილი კომიტეტიბის (არსებობის შემთხვევაში) სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, მათ შორის საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან. აღნიშნული მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი პროცედურები და წესები.

2.14 მუდმივი მზადყოფნა შესაბამისი ანგარიშგების განხორციელებაზე ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.

2.15 მიიღოს, განიხილოს და აღმოფხვრას საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე წარდგენილი ნებისმიერი საკითხი/შემთხვევა.

მუხლი 3. საბჭოს უფლებები

საბჭო უფლებამოსილია:

3.1 განსაზღვროს კომპანიის საქმიანობის პოლიტიკა, მიიღოს და დაამტკიცოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.

3.2 განიხილოს და დაამტკიცოს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მიერ მომზადებული გრძელვადიანი (3–5 წელი) სტრატეგიული განვითარების გეგმა.

3.3 დაამტკიცოს სტრუქტურული ერთეულების დებულებები და შიდა პოლიტიკები.

3.4 დანიშნოს აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით დაამტკიცოს დირექტორატის სხვა წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), განსაზღვროს დირექტორატის ყველა წევრის ხელფასისა და პრემიის ოდენობა, აკონტროლოს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დირექტორატისადმი/აღმასრულებელი დირექტორისადმი მიცემული რეკომენდაციებისა და შენიშვნების გათვალისწინება, შეიმუშავოს და დირექტორატისგან/აღმასრულებელი დირექტორისგან მიიღოს კომპანიის მდგომარეობის ამსახველი პერიოდული ანგარიშგების ფორმები.

3.5 დაამტკიცოს შიდა აუდიტის სამსახურის საშტატო განრიგი, მისი სამუშაო გეგმა, ბიუჯეტი, დანიშნოს სამსახურის უფროსი, განსაზღვროს სამსახურის თანამშრომლების ხელფასებისა და პრემიების ოდენობა, უზრუნველყოს სამსახურის დამოუკიდებლობა დირექტორატისგან/აღმასრულებელი დირექტორისგან, აკონტროლოს და შეაფასოს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა და წარუდგინოს დირექტორატს/აღმასრულებელ დირექტორს შიდა აუდიტის მიერ წამოწეული შენიშვნები და რეკომენდაციები.

3.6 განიხილოს და დაამტკიცოს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი კომპანიის საქმიანობის წლიური გეგმა, წლიური ბიუჯეტი, აკონტროლოს მათი შესრულება, განიხილოს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი პერიოდული ფინანსური ანგარიშები.

3.7 აკონტროლოს აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესრულება, შეიმუშავოს და აქციონერებს მიაწოდოს კომპანიის მდგომარეობის ამსახველი პერიოდული ანგარიშგების ფორმები, მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება და შეადგინოს დღის წესრიგი, დირექტორატისა/აღმასრულებელი დირექტორის და გარე აუდიტის წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით მოამზადოს დასკვნა და წარუდგინოს აქციონერთა საერთო კრებას, მოამზადოს რეკომენდაციები აქციონერთა საერთო კრებისათვის.

3.8 იმუშავოს პოტენციურ ინვესტორებთან, ჩაატაროს შესაბამისი კონსულტაციები აქციონერებთან და წარუდგინოს თავისი რეკომენდაციები აღნიშნული მიმართულებით აქციონერთა საერთო კრებას.

3.9 ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელობა. მათ საქმიანობაზე ადექვატური მონიტორინგი.

3.10 საწარმოს შიგნით (მათ შორის ჯგუფის დონეზე) რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნება.

3.11 შეაფასოს ჯგუფის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობა ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზედამხედველო მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს აღნიშნული პოლიტიკები და შეიტანოს მასში გარკვეული შესწორებები, როდესაც ჯგუფის პოლიტიკები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის.

3.12 პერიოდულ მოითხოვოს დამოუკიდებელი მიმოხილვა შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე.

მუხლი 4. საბჭოს კომპეტენცია

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს:

4.1 კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომპანიის მიერ გამოშვებული საკუთარი აქციების გამოსყიდვა წესდებით დადგენილ/განსაზღვრულ შემთხვევებში.

4.2 სხვა კომპანიებში წილების შეძენა და გადაცემა წესდებით დადგენილ/განსაზღვრულ შემთხვევებში.

4.3 წესდებით განსაზღვრული ღირებულებების მქონე გარიგებების დადება (მათ შორის: უძრავი ქონების და მასთან დაკავშირებული უფლებების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა, ვალდებულებების აღება და უზრუნველყოფა, სესხებისა და დეპოზიტების აღება, აგრეთვე სესხების გაცემა, აგრეთვე წესდებით განსაზღვრული სხვა გარიგებები) წესდებით დადგენილ/განსაზღვრულ შემთხვევებში.

4.4 კომპანიის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება წესდებით დადგენილ/განსაზღვრულ შემთხვევებში.

4.5 პასუხისმგებელია საწარმოს კორპორაციული მართვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებობით დადგენილი მოთხოვნებთან და დათქმებთან შესაბამისობით.

4.6 პასუხისმგებელია ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგზე.

4.7 შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკისა და ოდენობის განსაზღვა. ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას

მუხლი 5. საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება

5.1 საბჭო შედგება 7 (შვიდი), მათ შორის ორი დამოუკიდებელი, წევრისაგან. საბჭოს შემადგენლობა უნდა დაკონპლექტეს იმგავარად, რომ აკმაყოფილებლდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

5.2 საბჭოს წევრები იმავდროულად არ შეიძლება იყვნენ კომპანიის დირექტორატის წევრები/აღმასრულებელი დირექტორი

5.3 საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ 3(სამი) წლის ვადით, მაგრამ მათი უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ, მორიგი აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია.

5.4 საბჭოს ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. განცხადება გადადგომის შესახებ 3 (სამი) თვით ადრე უნდა წარედგინოს საბჭოს თავმჯდომარეს.

5.5 საბჭოს წევრი ნებისმიერ დროს შეიძლება განთავისუფლდეს თანამდებობიდან აქციონერთა საერთო კრების მიერ.

5.6 საბჭოს წევრის გადადგომის ან განთავისუფლების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს დამატებითი არჩევნები. ახალი წევრის უფლებამოსილება ძალაშია საბჭოს უფლებამოსილების ვადამდე.

5.7 სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე

6.1 საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც უნდა აკმაყოფილებლდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6.2 სამეთვალყურე საბჭოს თავმჯდომარეს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით თავისი წევრების შემადგენლობიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო 3 (სამი) წლის ვადით.

6.3 საბჭოს თავმჯდომარე:

- იწვევს და ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომებს;
- ორგანიზაციას უწევს ოქმის წარმოებას და ადასტურებს ხელმოწერით;
- ადგენს სხდომების დღის წესრიგს და აწვდის ინფორმაციას საბჭოს წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- ორგანიზებას უწევს საბჭოს კომიტეტების მუშაობას;
- უზრუნველყოფს აქციონერთა საერთო კრების მოწვევას, ხელმძღვანელობს და წარმართავს მის მიმდინარეობას;
- ამზადებს მოხსენებას აქციონერთა საერთო კრებაზე საბჭოს ანგარიშის შესახებ;
- წარმოადგენს კომპანიას დირექტორატთან/აღმასრულებელ დირექტორთან სამართლებრივ ურთიერთობებში.

მუხლი 7. საბჭოს სხდომა

7.1 საბჭოს სხდომები ტარდება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ ან საბჭოს გადაწყვეტილებით უფრო ხშირად.

7.2 კომპანიის დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის წევრების საბჭოს სხდომაზე დასასწრებად მოწვევის შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არიან დაესწრონ სხდომას, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლების გარეშე.

7.3 საბჭოს სხდომაზე ქვორუმი შემდგარია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომის ჩატარება შესაძლებელია როგორც საბჭოს წევრთა ფიზიკური დასწრებით ასევე ელექტრონული „საკონფერენციო კავშირისა" და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

7.4 საბჭოს თითოეულ წევრს გააჩნია ერთი ხმა.

7.5 საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფისას, თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

7.6 საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე . ოქმში ფიქსირდება სხდომის ადგილი და დრო, მონაწილეთა სია, დღის წესრიგი, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების ძირითადი შინაარსი და საბჭოს გადაწყვეტილებები.

7.7 თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.

მუხლი 8. საბჭოს კომიტეტები

8.1 საბჭოს საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართის მიზნით საბჭო უფლებამოსილია შექმნას კომიტეტები.

8.2 კომიტეტი წარმოადგენს კონკრეტული საკითხისათვის სპეციალურად შექმნილ მცირე ჯგუფს, რომელიც ამუშავებს ამ საკითხს, ხოლო ანალიზსა და დასკვნებს წარუდგენს საბჭოს. კომიტეტების საქმიანობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ საბჭოს.

8.3 თითოეული კომიტეტის შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

8.4 კომიტეტის შემადგენლობაში შესაძლებელია სპეციალისტებისა და დამოუკიდებელი წევრების მოწვევა, კანონდმებლობით დადგენილი წესების გათვალისწინებით.

8.5 კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე.

8.6 საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს თითოეული კომიტეტის ბიუჯეტს და შიდა დებულებას, რომელიც წარმოადგენს კომიტეტის სახელმძღვანელო ინსტრუქციას. შიდა დებულება მიუთითებს თითოეული კომიტეტის წევრთა რაოდენობას, განსაზღვრავს მათი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების სავალდებულო მოთხოვნებს, კომიტეტის სხდომების მოწვევის პირობებსა და სიხშირეს, საქმიანობის მეთოდიკასა და სხვა საჭირო ინფორმაციას.

მუხლი 9. საბჭოს თვითშეფასება

9.1 საბჭო ვალდებულია სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მოიწვიოს სპეციალური სხდომა მის მიერ გაწეული საქმიანობის შესაფასებლად, რომელზეც უნდა შეფასდეს მთლიანად საბჭოს, მისი კომიტეტებისა და წევრების საქმიანობა.

9.2 საბჭოს თვითშეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

- კომპანიის მიერ დასახული მიზნების (ბაზრის წილი, მოგება, გაყიდვების ოდენობა) მიღწევა;
- კომპანიის შიდა დებულებებისა და პოლიტიკების არსებობა;
- დირექტორატთან/აღმასრულებელ დირექტორთან ურთიერთობის ხასიათი და პროდუქტიულობა;
- დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობაზე ეფექტური კონტროლის სისტემის არსებობა;
- აქციონერთა უფლებების დაცვა.

9.3 საბჭოს თვითშეფასება წარმოადგენს აქციონერთა მორიგ საერთო კრებაზე საბჭოს ანგარიშის ნაწილს.

მუხლი 10. საბჭოს წევრთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობა და ანაზღაურება

10.1 საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.

10.2 საბჭოს წევრებს უნდა ჰქონდეთ თანამდებობის ადეკვატური ცოდნა და უნარ–ჩვევები.

10.3 საბჭოს წევრებს უნდა შეეძლოს:

- დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი წლიური თუ სხვა ანგარიშების შეფასება;
- მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილებების მიღება წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;
- დასამტკიცებლად წარმოდგენილი გარიგებების ჯეროვანი შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;
- ინფორმაციის სწორად აღქმა და გაანალიზება, დამატებითი ცნობებისა თუ ინფორმაციის მოპოვება;
- კომპანიის საქმიანობის ანალიზი, მის წინაშე მდგარი პრობლემების, სავარაუდო საფრთხისა და რისკების გამოვლენა, ჯგუფის დონეზე რისკების მართვის ეფექტურობის განსაზღვრა.

10.4 საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან:

- რეგულარულად დაესწრონ საბჭოს სხდომებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების განხილვაში;
- არ გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია;
- აქციონერებს დროულად მიაწოდონ ზუსტი და სრული ინფორმაცია კომპანიის საქმიანობისა და მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერი შემთხვევისას განუცხადონ აქციონერებს დირექტორატს/აღმასრულებელ დირექტორსა და საბჭოს წევრებს ამის შესახებ და თავი შეიკავონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს ხმის მიცემისგან.

10.5 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და დანაწესებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:

ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;

ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და
პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;

გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე,
საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;

დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და
მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;

ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;

ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;

ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;

თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის დანერგვა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.

მუხლი 11. რისკების მართვა და შიდა კონტროლი

11.1 სამეთვალყურეო საბჭო სრულყოფილად უნდა იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე, რაც უნდა მოიცავდეს როგორც მიმდინარე რისკების შესახებ ანალიზს, ასევე ახალი და მომავალი რისკების იდენტიფიცირების საკითხებს. აღნიშნულზე დაყრდნობით დოკუმენტურად უნდა იყოს განსაზღვრული საწარმოს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც მჭიდროდ უნდა ებმოდეს საწარმოს სტრატეგიას, კაპიტალს, ფინანსურ გეგმებსა და ანაზღაურების პრაქტიკებს.

11.2 რისკის მართვის ჩარჩო უნდა იყოს თანმიმდევრული და გასაგები, გათვლილი საწარმოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე. სამეთვალყურეო საბჭომ მინიმუმ ყოველწლიურად უნდა გადახედოს რისკის მართვის ჩარჩოს

11.3 სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს რისკების მართვის სისტემის განსაზღვრა და დამტკიცებული პროცესების/პროცედურების ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით შესაბამისობა.

11.4 სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა განიხილავდეს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს დირექტორთა საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან, შესაბამისობის და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მათთან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საჭიროებები.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საზოგადოების წესდების ან/და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 წინამდებარე დებულებაში ყოველი ცვლილება ან დამატება მოითხოვს წერილობით ფორმას.

12.3 დებულებაში ცვლილების შეტანა ან დამატება შესაძლებელია, მხოლოდ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

12.4 წინამდებარე დებულება ძალაში შედის მისი საერთო კრების მიერ დამტკიცების თარიღიდან.

12.5 იმ შემთხვევაში, თუ დებულების რომელიმე მუხლი/პუნქტი ეწინააღმდეგება კანონით გათვალისწინებულ პრომელიმე იმპერატიულ ნორმას, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

საერთო კრების თავმჯდომარე ვ.სუხიაშვილი